საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1111

18 11 2019 წ.

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში ვიზიტის შესახებ

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2019 წლის 4 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის №1340751) და საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისათვის განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი (2 საგანმანათლებლო პროგრამა).

2019 წლის 9 ოქტომბერს შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლას გაეგზავნა ხარვეზის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №1362049). 2019 წლის 29 ოქტომბერს საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზში მითითებული დოკუმენტაცია შესწორებული სახით (ცენტრში რეგისტრაციის №1469434).

აღნიშნულიდან გამომდინარე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის, 30^1 მუხლის მე-4 - მე-8 პუნქტების, ამავე ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის“ 1^7 მუხლის მე-4 პუნქტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6

მარტის №169 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) მანანა მოისწრაფიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);

ბ) ია გელენიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);

2. ანაზღაურებადი დღეების რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრისათვის (მანანა მოისწრაფიშვილი - 2 კაც/დღე; ია გელენიძე - 4 კაც/დღე) განისაზღვროს ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №169 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“ შესაბამისად.

3. დაევალოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საექთნო განათლებისა“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განახორციელოს ვიზიტი 2019 წლის 27 და 28 ნოემბერს შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში ქ. ქუთაისში. ჯგუფმა შეადგინოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარმოადგინოს ვიზიტის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო საბოლოო დასკვნა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინოს ცენტრის მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიწოდებიდან ან დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შესახებ ცენტრის მხრიდან ინფორმირებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციებად განისაზღვროს ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციები.

5. ექსპერტთა ჯგუფის წევრის ფუნქციებად განისაზღვროს ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციები.

6. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ვიზიტზე მივლინებულ იქნას ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი ნინო სტეფანიშვილი.

7. ავტორიზაციის ექსპერტის აცილება შესაძლებელია ამ ბრძანების გაცნობიდან 2 დღის ვადაში.

8. დაევალოს ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

9. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის მოვალეობის

შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი